**რედაქცია**
გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გურიელის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**
მთელის წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა . . . 3 მან.
ნახევრის წლისა . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., პატარა ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე შაური.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

**„დროება"**

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

თფილისში: „დროების" რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба".

„დროებაზე" და „ივერიაზე", ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

**ფასი ხელის-მოწერისა:**

ერთის წლით: . . . . . 9 მან. ‖ სამის თვით . . . . . . 3 „
ნახევარის წლით . . . . . 5 „ ‖ ერთის თვით . . . . . . 1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 17 მარტს. სენატმა დაარღვია სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება ტეგლევის საქმის გამო. ღენ. მროვინსკისა და ფურსოვის საჩივარი სასამართლომ უყურადღებოდ დააგდო.

ოდესიდამ იწერებიან, რომ აქედამ თავის ნებით შეგროვილი ჯარი მიდის გერცოგოვინაში აჯანყებულების დასახმარებლათაო.

სერბიის კოროლი მილანი ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზე არ მოვა მოსკოვში.

## ჩვენი საჭიროებანი

(სტატია პირველი)

ტფილისი, 18 მარტს.

უმაღლესად გამოცხადებულის ბრძანებით, ამ ერთის წლის განმავალობაში ჩვენს მხარეს დიდი ცვლილება მოელის; თვითონ მთავრობამ აღიარა, რომ ახლანდელი გამგეობის წესი კავკასიისა ვერ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას, ვერ ასრულებს რიგიანად თავის პირ-და-პირ მოვალეობას და ამის გამო, როგორც მოგეხსენებათ, დაინიშნა ცალკე კამისია, რომელმანც აქვე, ტფილისში, ადგილობრივ უნდა განიხილოს ყველა ადმინისტრატიული, თუ სამოსამართლო, თუ სამხედრო და სხვა უწყებანი და შემდგომ, როდესაც კარგად გაიცნობს ყველა ამ საგამგებო უწყებათა ნაკლულევანებას, როდესაც კარგად გაიცნობს ადგილობრივ ხალხის საჭიროებასა და მოთხოვნილებას, კამისია შეადგენს თავის პროექტს კავკასიის გამგეობაში შემოსაღებ ცვლილებისა და ეს პროექტი უმაღლესს მთავრობას წარედგინება დასამტკიცებელად.

ზემოხსენებულის კამისიის თავსჯდომარედ დანიშნულია ახლანდელი უფროსი მთავარ-მმართებლის სამმართველოსი ღენ.-ლეიტ. სტაროსელსკი. ბ. სტაროსელსკი თითქმის ადგილობრივ მცხოვრებად ჩაითვლება, ის იცნობს ჩვენს მხარეს; მაგრამ დანარჩენი პირები კამისიისა, პეტერბურღის სამინისტროების წარმომადგენელნი კავკასიას იქნება წიგნებით და კანცელარიით იცნობენ; ხალხის საჭიროებისა და მოთხოვნილების იმათ, რასაკვირველია, ბევრი არა ესმოდინებათ-რა.

თვითონ ახალმა მთავარ-მმართებელმა როდესაც სამოქალაქო უწყების მოსამსახურე პირები მიიღო სასახლეში, გამოაცხადა, რომ კავკასიაში ახალ ცვლილების შემოსაღებად ამ ქვეყნის კარგათ გაცნობა მეჭირებაო, ჩვენი პროექტი ამ ენკენისთვემდინ უნდა წარვუდგინოთ უმაღლესს მთავრობასაო და მომავალ წლის 1 იანვარს ახალი წესები, რეფორმა შემოღებული უნდა იქმნეს კავკასიაშიო; ამის გამო მე მომიხდება თითქმის მოუსვენრად მოგზაურობა, ყველა მაზრების დავლა, უკანასკნელი ოცი ათასი ვერსი უნდა გავიაროვო, რომ ჩემის თვალით ვნახო ყველა ადგილები კავკასიისა და გავიცნო ხალხის საჭიროებაო.

ესე ყოველი დიდ გონიერებად უნდა ჩაითვალოს, რომ კამისია აქვე, ტფილისში იმუშავებს და არა პეტერბურღის რომელიმე დეპარტამენტის კაბინეტში; ყოვლად-ჩინებული აზრია, რომ თვითონ მთავარ-მმართებელი აპირებს მთელის კავკასიის დავლას და თავის თვალით გაცნობას და ნახვას ყველაფრისას,—მაგრამ საქმის რიგიანად წასაყვანად, კავკასიის საჭიროებისა და მოთხოვნილების გასაცნობად, და ამის-და-გვარ რეფორმების მოსახდენად, ჩვენის აზრით, მარტო ეს არა კმარა.

ამის გამო როგორც ამას წინათაც ვთქვით, მმართებლობის კამისიები ამ გვარს შემთხვევებში, ხალხის ნამდვილ საჭიროების გაცნობაში ბევრს ვერას გაარიგებენ, თუ თვითონ ადგილის კაცებს ადგილობრივ ხალხისა და გარემოების ზედ-მიწევნით მცოდნე პირთ არ დაეკითხნენ, იმისთანა პირთ, რომელნიც ამ ადგილობრივ გარემოებათა ცოდნის გარდა, თავის პატიოსნებით, მიუდგომლობითა და ხალხის გულ-შემატკივრობით არიან ცნობილნი.

მთავრობამ რამდენიმე მაგალითიდ დაგვიმტკიცა, რომ ამ გვარ პირთ, თუმცა ისინი სამსახურშიაც არ ითვლებოდნენ, ის არ ერიდება. რუსეთის ერობის წარმომადგენელნი ადრეც იყვნენ მოწვეულნი და ახლაც მუშაობენ პეტერბურღის სხვა-და-სხვა კომისიებში, რომელნიც ხალხის შესახებ საქმეებზე სჯიან და პროექტებს არდგენენ.

ამის გამო სრულებით კანონიერი იქნება ჩვენი სურვილის გამოცხადება, რომ როდესაც ასეთს მძიმე რამეზედ

## (დროების) ფელეტონი, 19 მარტი

### რომ და მაგრამ

(მიბაძვა გ. ჰეგოსი)

რომ ვიყო ღმერთი
ყოვლისა ღონეს
დასაბამისას შენთვის დავსდებდი,
ცათ ანგელოზთა,
ქვეყნად მცხიერთა
ამაღლად და მხლედ შენ მოგიჩენდი;
ზეცას ლოუბელთა,
რბილად გროვილთა
სასხდომად, ტახტად აგებ გკადრებდი,
ზეირგვინად მზესა
თავს დაგადგმიდი,
ვარსკვლავებითა გათამაშებდი;
სპეტაკთა ფეხთა
დასაბჯინებლად
მოგიგორებდი სავსე მთვარესა,
შარასა რძისას
მდინარედ ვხდიდი,
მით მოგირწყავდი არე-მარესა;
მეხსა გახმარდი
ნაცვლად კვერთხისა,
ცის-სარტყელასა წელზე საბმელად,
სამყაროისა
ოთხ-კუთხივ ქართა
შენის ბრძანების მოსათხრობელად...
რომ ვიყო მეფე,
ჩემსა სამეფოს
მუხლ-მოდრეკითა გიძღვნიდი სრულად,
სკიპტრას, პორფირსა
ფეხ-ქვეშ გიფენდი
თვით დავშთებოდი მსახურ-ერთგულად
მხოლოდ უფლებას
ერთს დავირჩენდი,
რომ გიჩვენებდი მე მას ბედკრულად,
ვისაც არჩევდი
ჩემს დიდებასა
და გამწირავდი ვის სიყვარულად!...
მაგრამ ვარ კაცი,
უბრალო ვინმე
არა შემძლები სხვა რამ დიდების,
გარდა გრძნობების,
შენზედ ოცნების,
მარად მონების შენის შენების!...

ზონტოქსელი.

## მოგზაურობა ქართლში

(გაგრძელება*)

დიდხან ვიტრიალე ეკლესიაში და ვათვალიერე ყოველი კუთხე. საკურთხეველი სამად არის გაყოფილი. ტაძარში ოთხი დიდი სვეტია, რომლებზედაც მოხატულია ეკლესიის თაღი. მარჯვენა სვეტებ შუა არის სვეტი-ცხოველი. ამის მარჯვენათი მიშენებულია ეკვდერი.

ეკლესიას აქვს სამი კარები; დასავლეთის კარები ყველაზე დიდია. იატაკი თლილის ქვით დაფენილი. კედლები სულ დახატულებია *) მხოლოდ ზოგიერთგან დროს და ულმობელ ხელს მოუშლია. თაღში არის ეკლესიის ბიბლიოთეკა და სამალავი, რომლისთვისაც არა ერთხელ შეფოთიან წლებში მტერს მუსრი აუდენია.

სული და გული რომ გამიძღა ხილვით ჩვენი წარსულის სასიქადულო ქმნილებისა, გამოვედი გარეთ

*) ის. „დროება" № 57.

*) სხვათა შორის გამოხატულია გზა კვალის დაბნევა მირიანის თხოთის ტყეში და ანტიოქის პატრიარქი ესტატე, რომელიც მიაწვდის მირიანს სახარებას და აკურთხებს მცხეთის სობორს. ეს ის ესტატეა, რომელიც სხვა მღვდლებთან ერთად გამოგზავნა ვიზანტიის იმპერატორმა კოსტანტინე დიდმა მირიანის და ქართველთა გასანათლავად.

არის სჯა, როგორც კავკასიის გამგეობაში რეფორმების შემოღება, ამ გვარი ცოდნე პირები, ექსპერტები, პრაქტიკები ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებიდამაც მიიწვიონ და ამათაც მიეცეთ, გადამწყვეტი ხმა კი არა, უფლება თავის აზრის წარდგენისა, რჩევისა.

ამ გვარი პირები, ღვთით, მოიპოებიან ჩვენში და ამათის დახმარებით კამისია, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ერთი-ორად უფრო მალეც, უფრო რიგიანადაც შეასრულებს თავის მძიმე საქმეს, საქმეს, რომელზედაც ოთხი მილიონი მცხოვრების და რუსეთის იმპერიის ერთი საუკეთესო კუთხის ბედ-იღბალი არის დამოკიდებული.

## ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

ახალი მთავარ-მმართებელი მოსამსახურე პირებს მიიღებს მუდამ შაბათობით და სამშაბათობით. ამავე დღეებში პირველ საათზე თ. დონდუკოვ-კორსაკოვი მიიღებს აგრეთვე კერძო პირთ, რომელთაც რაიმე დაუყოვნებელი საქმე ექმნებათ მთავარ მმართებელთან. თხოვნის მიცემა კერძო პირთ მუდამ დღე შეუძლიანთ შუადღემდინ მთავარ-მმართებლის სამხედრო კანცელარიაში, რომელიც სასახლეშია, სადაც ადრე სასახლის კანტორა იყო.

* * *

ქალაქში მოვიდა ტელეგრამმა, რომ სახალხო განათლების მინისტრს ბარონ ნიკოლაის სამსახურიდამ დათხოვნის ნება-რთვა უთხოვნია ხელმწიფე იმპერატორისათვის და ხელმწიფესაც შეუწყნარებია იმის თხოვნა.

* * *

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ბავშების საღამო, რომელიც დღეს, პარასკევს, უნდა გამართულიყო თფილისის კლუბში, გადაიდვა 29 მარტისათვის.

* * *

16 მარტს მთავარ-მმართებელს გამოეცხადა კოჯორის ბასადის თავი ბ. ი. მ. ყორღანოვი, რომელიც კოჯრის მცხოვრებთა სახელით, მიესალმა თ. დონდუკოვ-კორსაკოვს და გამოუცხადა იმას სურვილი და იმედი, რომ ზაფხულობით კოჯორში იცხოვრებს და მით დაეხმარება ამ საზაფხულო ადგილის გამშვენიერებასა და წარმატებასაო.

თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა მადლობა გარდაუხადა ბატონ ყორღანოვს მისალმებისათვის და თან გამოუცხადა, რომ დიდის სიამოვნებით გავატარებთ მე და კნიაგინა ზაფხულს კოჯორშიო, სადაც თ. ვორონცოვის დროს „სალხინოს“ ბაღში მე ჩემის ხელით დამირგავს რამდენიმე ხეო; ამ კვირას ვაპირებ კოჯორში წასვლას აგარის სანახავად და იმედი მაქვს, თქვენც წამომყვებითო.

როგორაც ამბობენ, იმ 1,500 სულს ბერძნებს, რომელნიც ოსმალოდამ მოვიდნენ და ამ ჟამად ბათუმში არიან, ალექსანდრეპოლის გუბერნიაში აძლევენ დასასახლებელ ადგილსაო.

* * *

„იურიდიული მიმოხილვის“ სიტყვით, სენატს სამართალში მიუცია თფილისის გამომძიებელი ხოსროევი იმ უკანონო მოქმედებისათვის, რომელიც ლეკონტის საქმის წარმოების დროს ჩაუდენია.

* * *

გუშინწინ, 17 მარტს, ტფ. საზაფხულო თეატრში მესამეჯერ იყო გამართული „ვეფხვის ტყაოსნის“ ცოცხალი სურათები. ახალი არა გვაქვსრა სითქმელი ამ სურათებზედ, რადგან ყველა მომქმედი პირები, გარდა ერთისა, ძველები იყვნენ და ყველამ რიგიანად წარმოგვიდგინა დიდებულ პოეტის თხზულებაში გამოყვანილი პირები და მათი მოქმედება. ერთი ახალი პირი იყო მხოლოდ ამ სალამოს—ნესტან დარეჯანს ღ-ისა არდგენდა და ჩინებულადაც წარმოადგინა.

თეატრი სავსე იყო ხალხით სხვათა შორის, ბრძანდებოდა ახალი მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, აღტაცებაში მოვიდა ამ მშვენიერ სურათების ჩინებულად დადგმით და ეს თავის აღტაცება და დიდი მადლობა კიდეც გამოუცხადა ბ. ზიჩის, რომელთანაც ანტრაქტში შებრძანდა კულისებს იქით.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ გამოჩენილი რუსის პოეტი აპირებს „ვეფხის-ტყაოსნის“ გადათარგმნას რუსულს ენაზედ. ამითი რუსეთს კიდევ ერთი შემთხვევა მიეცემა, რომლითაც დაფასდება ქართული ლიტერატურის მდგომარეობა მეთერთმეტე საუკუნეში.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ფინანსთ სამინისტროს ნება დაურთავს ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკისთვის იმ 200,000-ოდე სესხის გირავოს ფურცელთა გამოშვებისა, რომელზედაც ამასწინედ უარი მიიღო, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან „დროების“ 27 №-დამ. ჩვენი ქუთაისელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ ამ საქმეთათვის პეტერბურღში წასული ბანკის მმართველი იწერებაო, იმედია ფინანსთ სამინისტრო მეორე წინანდელ უარსაც შეცვლისო და ნებას მოგვცემს, რომ ჩვენმა ბანკმა ქალაქის მამულები გრძელი ვადითაც (27$^1/_2$ წლითაც) დაივირაოსო. კეთილი და პატიოსანი.

* * *

ამავე ბაქოს გაზეთის სიტყვით ბაქო-თფილისის რკინის გზა ამ წლის ივლისისათვის სრულიად მზად იქნებაო და მოგზაურობაც დაიწყება ამ გზაზედაო. კონტრაქტის ძალით-კი, ამ გზის აშენებლებმა ლვინობისთვის პირველს უნდა ჩააბარონ მთავრობას ეს გზა.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში დაბეჭდილი პატარა ქართული ისტორიული ბროშურა „თამარ დედოფალი“, შედგენილი კ. ბ—შვილისაგან სახალხო სკოლების საკითხავად. წიგნი მდაბიურის, ცოცხალის ენით არის დაწერილი და საკმაოდ ვრცლად არი... იმაში მოყვანილი „საქმენი და მოღვაწებანი“ დიდებულს საქართველო... მეფის თამარისა. სასარგებლოდ მი... ვაჩნია ჩვენ ამ გვარი ბროშურ... სახალხო სკოლებისათვის, მაგრამ ... დევ უკეთესი ის იქნება, რომ ამო... ნილიყო ვინმე მცოდნე და ამის... ცოცხალის ენით, საქმის ცოდნ... მოკლედ შეედგინა საქართველოს ... ტორიის სახელმძღვანელო, რომელ... ასეთს საჭიროებას შეადგენს ამ ჟამ... არა თუ სასწავლებლებისთვის, სწა... ლა-გათავებულებისთვისაც.

* * *

ჩვენ გთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იმ კონცერტიდამ, რომელიც 8 მარ... იყო გამართული ზოგიერთ ღარიბ... მოსწავლეთა სასარგებლოდ, შემო... ვალი ყოფილა სულ—502 მან. ... კაპ.; გასავალი—279 მან. 10 კაპ. ასე რომ დარჩენილა 223 მან. ... 10 კაპ.

* * *

კავკაზი გვატყობინებს, რომ იმ 2... სახლიდგან რომელიც გაშინჯულ... იყო, განსვენებული იმპერატო... ალექსანდრე II სახელობაზედ ბავშ... ბის პრიუტის გასამართად, კამის... ამოირჩივა ბ. ამაშუყელის სახლი ... კაში. კანდრაქტი იწერება ჯერ-ჯე... რად სამის წლით.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ

ბ. რედაქტორო! თქვენ პატივც... მულ გაზეთის 41 №-ში წავიკით... საჩივარი ერთის მღვდლისა, რომელ... ცა ფსევდონიმის ქვეშ იფარავს თა... სა. პეტორი ამბობს, ჯამაგირი თავ... დროზედ არ მოგვდისო, როცა მო... ვივა, მაშინაც „ბატონი“ ბლაღოჩინ... გვაწვალებსო; ჯამაგირების მისაღებ... იმის კარებზედ ორი და სამი დღ... უნდა ველოდნოთ და შემდგომ მ... რის ლანძღვის და ვინებისა ძლივ... გვეღირსება მიღებაო.

ჯამაგირები რომ დროზედ არ მოს... დით, მაგაში ეჭვი არ არის; მაგაზე...

---

და მეც, სხვათა შორის, ტაძარს გარშემო ტრიალი დაუწყე.

მცხეთის ეკკლესია აშენებულია სოფიის კენჭით კედლებზე გამოჭრილია ჯვრები, ხატები და სხვა-და-სხვა სურათები. დახურულია თლილის ქვით. ტაძრის სიგრძე არის 61 ადლი, სიგანე 27 და სიმაღლე 37.

ტაძარი შემორტყმულია მაღალ კედლებიან ციხით. დასავლეთის მხრით არის ძალიან დაძველებული სამრეკლო. უწინდელ მეფის სასახლის ქათალიკოზების სახლის ადგილის ორ ეტოჟიანი სახლი, აგრეთვე სამრეკლოს ახლოს არის სახლი, რომელშიაც სცხოვრობენ ზედევანიშვილები.

ეს ზედევანის შვილები თავის თავს სთვლიან ჩამომავლებად ელიოზისა, რომელმაც კვართი ქრისტესი მოიტანა იერუსალიმიდგან, და ვითომ, ამ ჩამომავლობის ძალით იმათ ეკუთვნით უფლება, რომ იცხოვრონ იმ ადგილის ახლოს სადაც იყო დაფლული კვართი. *)

კარგა მოღალული ვიყავი, რომ გავედი ციხის გარეთ და გავწიე სამთავროსკენ. გავიარე შუა გული მცხეთისა და გამიკვირდა, რომ ეს ადგილები ნაგვით და უწმინდურობით სავსე ვნახე. თუ ამისთანა შესანიშნავ დღეს ამისთანა ბინძურობაა აქ, რას უნდა მოველოდეთ სხვა დროს!

ამისთანა შესანიშნავ ადგილას, ზედ ქართველთ სამხედრო გზაზედ, მტკვრის და არაგვის ნაპირებზედ, თბილისის ახლოს, აქაურს ხალხს არ ეტყობა მდიდრობის, შეძლებულობის ნიშანი. სახლები აფუშულ-დაფუშული, ქუჩები უშნო, დუქნები არ ვარგები, ბევრნი ვომურებიდგან არ გამოსულან. მხოლოდ ერთი გვარიანი სახლია აქ დეკანოზის მრევლიშვილისა ზედ არაგვის პირზედ, საიდგანაც კაცს თვალ-წინ ეშლება დიალ კაი სურათი.

ჩრდილოეთისკენ ღელე არაგვისა; მის აღმოსავლეთ პირამდე ჩამოწოლილა ზედაძნის ტყიანი მთები, რომელნიც არაგვის პირის-პირ ჩამოდიან ვიდრე მტკვრის მარცხენა კიდემდე და აქედგან ბრუნდებიან აღმოსავლეთის... კენ და მიდიან უწინდელ ქალაქ უჯა... მამდე. ამ მთებს ერქვათ აგრეთ... იალონის მთები.

არწივსავით მაღლიდგან დაჰყურე... მცხეთას ჯვარის მონასტერი, რომე... ლიც აშენებულია ზედაძნის მთ... მაღალს კლდეზედ.

ეს მონასტერი აშენდა იმ ადგილ... სადაც პირველად წმ. ნინომ დაასვ... ჯვარი სვეტი-ცხოველისა, რომელ... გურამ-კურაპალატამდე აქ იდგა. ... მეფემ დაიწყო აქ ეკკლესიის შენებ... და მის შვილმა დიმიტრიმ შეასრულ... ვახუშტი ამბობს, რომ: „ამის (ეკკლე... სიის) დასავლით, მუნვე კლდესა შინა... დის წყარო წმიდის ნინოსაგან საცნა... სად კეთილი და ჰკურნებს სენთა ...

*) კვართი ქრისტესი ბოლოს იყო ამოთხრილი მეფის ოჯახში ინახებოდა. შახ-აბასმა დაატყვევა ერთ საქართველოში შემოსევის დროს და მერე მეგობრობის გამოსაცხადებლად წარუგზავნა რუსეთის იმპერატორს. კვართი ეხლაც რუსეთშია.

[მე] თითონ მიჩივლია რამდენჯერმე [ერთ] ალაგასაცა და მეორე ალაგასა[ც], მაგრამ რავქნა, ჩემი რა ბრა[ლი]ა!..

[ს]ახლები არ გვივარგა — მაშ რო[გორ] სცხოვრებდნენ იმ სახლებში, რომლებსაც ეხლა სწუნობენ, ადრინ[დ]ელი პატივცემულნი მოღვაწენი! [მ]ართლაც ბევრ მწუხარებას ითმენდენ [სა]ხლში, მაგრამ რადგან ესმოდათ თა[ვ]იანთი სამღთო მოვალეობა, იმითი ყველას ითმენდნენ. თუ სახლებზედ [ა]რის საჩივარი, აბა ერთი ჩემი სახლე[ბი]ცა ნახე, როგორია, ლამის ჭერი და კედლები თავზედ დაგვაწვეს, ზამ[თა]რ-ზაფხულ კომლის გამოისობით ცეცხლი ვერ დაგვინთვია და ათი სუ[ლ]ი ხალხი სიცივით ვიხოცებით.

როცა გველირსება ჯამაგირების მოსვლა, ბლაღოჩინი გვაწვალებსო. ვინა ვლანძღე, ვინ ვაწვალე, სამი დღე კარებზედ ვინ ვალოდინე რა[ტ]ომ იმ პირს არ მიჩვენებს ეგ პატი[ოს]ანი მამა?

სახლების ასაშენებელი ფულები მოუვიდა, ფული შეჭამა და სახლები კი არ აგვიშენაო ეგეც ერთი აშკა[რ]ა ტყუილი ავტორისა. როდის, ვის[გა]ნ და ან რამდენი სახლების ასაშე[ნ]ებელი ფულები ან არქიერისაგან [უ]ნდა მიმეღო ან ქრისტიანობის აღ[მ]ადგინელ საზოგადოებისაგან, აბა [ი]კითხეთ ერთი — მართლა მაგ საგან[ზ]ედ ფულები როდისმე გამომიგზავ[ნე]ს?

ჯავის ბლაღოჩინი მღვდელი,
გრიგორი დავიდოვი.

## ბატონ ცხინვალელს

(პასუხი)

„დროების" № 51 ცხინვალელის კორრესპონდენცია არის დაბეჭდილი, სადაც ცხინვალის მოსამსახურე პირე[ბ]ის მოქმედება იხატება მეტად უნუ[გ]ეშო სურათით. ჩვენს მხატვარს არა[ვ]ინ არ დავიწყებია, გული არავის[თ]ვის არ დაუკლია, — მომრიგებელი მოსამართლე და გამომძიებელი, პოლიციის პრისტავი და მამასახლისი — ყველანი ერთათ ვართ განკიცხულნი.

ვინც ნამდვილათ საქმე არ იცის, ის ჩვენ შედარებით მყუდრო და მშვიდობიან კუთხეს, როგორც ცხინვალია, მცარცველობის და ავაზაკობის ბუდეთ მიიღებს, ის ამ წყნარ დაბას სოდომ-გომორათ ჩასთვლის!..

ჩვენი კოლუმბი მარტივათ და მკაფიოთ მოგვითხრობს, რომ ცხინვალი ქურდობით და სხვა გვარი ავაზაკობით არც ერთს ჩვენი ქვეყნის მხარეს არ დაუვარდება. კოლუმბი სტირის იერემიას ტირილით და ცხინვალს საშინელ მომავალს უხატავს... რა არის ამ მოგონილი უბედურების მიზეზი? რადგანაც, ანდაზისა არ იყოს, სასაცილოდგან დიდებულებამდინ მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ამისთვის მიზეზიც უბრალო და სასაცილოა ცხინვალის მოსამსახურე პირების შორის უთანხმობა არის მიზეზი ქურდობის და ავაზაკობის გახშირებისა!..

ჯერ რომ ეს უთანხმობა და ჯიბრი თანამდებობის პირებისა არათი არ მტკიცდება და ცარიელ სიტყვას შეადგენს. მეორეთ, თუნდაც რომ მართალი იყოს, განა ჯიბრი და უთანხმობა მიზეზი იქნება და ყოფილა როდისმე ქურდობის და ავაზაკობის გახშირებისა? ყველამ კარგათ იცის, რომ ქურდობის და სხვა სასისხლო დანაშაულობის მიზეზი სხვა-და-სხვა საზოგადობრივი და კერძოთ ეკონომიური ცხოვრების წყობილობაა. გადააკეთეთ და გაუმჯობესეთ ეს წყობილება და შედეგებს დაინახავთ...

„თუ ერთი დაიჭერს (ქურდს, ავაზაკს), მეორე მაშინვე გამოუშვებსო". ყველამ იცის-რა ცხადათ და სასტიკათ განმარტებული და განსაზღვრულია უფლება და ძალა თანამდებობის პირთა შორის. ყველა თავის მოვალეობა აქვს, ყველას მოქმედობა გამიჯნულია; მიჯნას იქით ფეხს ვერ გადასდგამს და თუ გადასდგი, მაშინ პასუხიც უნდა გასცე. მაშ რაღას ბძანებს ჩვენი კოლუმბი?!

თუ არა და — ქურდის ციხეში დატუსაღებით და წრეს გადასული ბიუროკრატიული სასტიკობით მშვიდობა ვის და როდის დაურსებია? დიდი და პატარა ეხლა ამ ბიუროკრატული პრინციპის წინააღმდეგია; ყველა ითხოვს იმის მოსპობას. თქვენ კი... არც ჩვენი კანონი და სამართალი ვალათ გვდებს სასტიკობას და ცუდუბრალოთ კაცის თავისუფლების შეურაცყობას. ჩაიხედეთ კანონში...

საკვირველია. ჯერაც კიდევ ჩვენ საზოგადოებას ღრმათ აზის „პოლიციური დაღი", აქამდინ ჩვენ „საზოგადობრივი ჭკუას" ვერა გაუგია-რა თვითმოქმედობისა და ჯერაც ისევ ჩვენი საზოგადოება აკვნის ბავშვს გავს, რომელიც მუდამ თავის მშობლებს შესცქერის!..

ქურდობა და თუ სხვა რამე სასისხლო დანაშაულობა მთელი საზოგადოების სარგებლობას და ბედნიერებას არღვევს. უფრო და პირველად საზოგადოება უნდა იყოს „მეველეც" და „ყარაულიც" თავის სარგებლობისა. ასრულებს ამ მოვალეობას ცხინვალის საზოგადოება? გვიჩვენეთ მაგალითები...

თუ მართალი გნებავთ, უთანხმოება და ჯიბრი ცხინვალის საზოგადოების პირველი და უკანასკნელი სულიერი საზრდოა. ეს საზოგადოება ფერად-ფერადათ არის აჭრელებული: ოსები აქ არიან და ქართველები, სომხები და ურიები. ამათი თანხმობა ჯერ არ გაგონილა. ყველა თავისკენ იწევს. ვინ არ იცის, რომ ჩვენმა პოლიციის პრისტავმა რამდენჯერმე მოიწადინა ყარაულების დაყენება და ზოგიერთა აქაური „შენიშნული პირების" სხვაგან გადასახლება. როდის მოუმართა ხელი საზოგადოებამ, როდის შეისმინა იმისი ჯერ დარიგება და მერე მრისხანე საყვედური? პრისტავს თავი დავანებოთ, ავიღოთ სასამართლო, გამომძიება. თუ ერთი ვინმე „შენიშნული პირთაგანი" (ბევრ ჯერ სხვებიც) საქმეში [illegible] ვალელს მართალს ვერ [illegible] თუნდა ჯოჯოხეთის კარებიც დაანახო და ანტიქრისტე თავს დააყენო. ცრუ-მოწმობა ხელობათ გახდა, მალე ფიცის ვაჭრობასაც დაიწყებენ... ეს ლითონი სიტყვა არ გახლავთ. დასამტკიცებელი საბუთები ბევრია..

ბატონ ცხინვალელს სატუსაღო და თავისუფლების მოკლება ცხონების ლუზათ მიაჩნია და ციხე კიდევ ემბაზათ, საცა ტუსაღი ვითომც სულიერათ იშვება და ინათლება! განა ეს მართალია?! ვინ არ იცის-რა სურათს და ზნეობითს სკოლას წარმოადგენს ჩვენი სატუსაღო!.. სწორეთ გითხრათ, არა ღირს ლაპარაკი იმასთან, რომელიც საზოგადოების წარმატებას და იმის კეთილდღეობის დაცვას ქურდების ციხეში და სატუსაღოში დალპობისაგან მოელის...

უკანასკნელად. თქვენ ამბობთ, რომ ამ უკანასკნელ კვირეებში ერთს ღამეს სამი დუქანი გატეხეს და დამნაშავები კი ვერ აღმოაჩინესო. ეს ცოცხალი ტყუილია. სამნი აღმოჩდნენ დამნაშავენი, რომლებიც ეხლა გორის სატუსაღოში იმყოფებიან. მიბძანდით და იკითხეთ.

ერთი თანამდებობის პირთაგანი.

ს. ცხინვალი.
16 მარტს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარასევიჩი და ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათ-

---

არს გარემონი მისნი მლაშე და მწარენი და იგი ფრიად ტკბილი".

ამავე ზედაძნის მთაზე მეფე ფარნაჯამმა აღმართა კერპი ზადენი, რის გამო ამ მთას ეწოდა ეს სახელი. შემდგომ მეექვსე საუკუნეში მოსულმა ერთმა მეათცამეტ მამათაგანმა — იოანნემ აღაშენა აქ ეკლესია და მონასტრად ჰყო. თვით მუნვე არის დაფლული. იგივე ვახუშტი თავის გეოგრაფიის მე-300 გვერდზე მოგვითხრობს: „ამ ეკლესიის კამაროდამ სწვეთს წყალი და უდგს ქვემორ ავაზანი ქვისა და შეიკრიბვის მას შინა, არა გარდმოედინების (წყალი) და არცა აღმოვსებით მოაკლდების; უკეთუ აღმოიღო რითმე და ჰკურნებს სენთაცა".

სარკინეთის მთის ძირში არის არჩილ მეფისაგან აგებული სტეფან-წმიდის ეკლესია, რომელშიაც ეხლაც სცხოვრობენ მოლოზნები. აქ დაარსებული წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელი ამ რამდენიმე წლის წინ გააუქმეს, თუმცა, უნდა ვსთქვათ, რომ მცხეთას ძალიან შეშვენოდა ამ გვარი სასწავლებელი.

კარგი იქნება, რომ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ აქ გახსნას სოფლის სკოლა. მცხეთა ისეთი ადგილია, რომ კარგი მასწავლებლის ხელში იგი თვითვე აღძრავს ღრმა სიყვარულს მამულისადმი, თვის ეროვნობის, კაცთმოყვარეობისადმი.

ეკლესია ლამაზია, მაგრამ დაძველებული სახურავი გაფუჭებულია საზოგადოთ შიგ და გარეთ ეკლესია კაი გემოზე, დიდას ხელოვნებით არის აშენებული. აქვს ერცელი ეზო, საცა ბერებისათვის სენაკებია დამართული.

ამ მონასტრის ჩრდილოეთისკენ 20 საჟენზე, გზის აქეთ-იქით ნაპირებზე არის გამოჩენილი აკლდამები.

ამ სასაფლაოს პატარა იქით სარკინეთის ქედიდგან მოდის მის ტოტი (საგუდის მთა), ვიდრე არაგვის პირამდე. სწორეთ საგუდის აღმოსავლეთ წვერზე არის აშენებული დიდი, მაგარი ციხე, რომელსაც ჰქვიან ახალი-ციხე. ვინ, როდის, რისთვის ააშენა ეს ციხე მე ამაზედ ისტორიის ცნობები არა მაქვს, ხოლოდ კი ვფიქრობ და გაგონილიც მაქვს, რომ იგი ჰკეტავდა არაგვის ყელს ჩრდილოეთის მხრიდამ მტერის შემოსევისაგან, განსაკუთრებით ოსების შემოსევისაგან.

ციხეს აქვს დიდი ბურჯები, კარგი, მაღალი კედლები, რომელთაგან ზოგი დანგრეულია.

ამ ციხიდგან დიდებული პანარამა მოჩანს მცხეთის მხრით პირ-და-პირ საწკეპელის ტოტი ჩამოსული მტკვრის პირამდე ისე, რომ ერთი რკინის გზის რელსების დასაწყობი და ფოჩტის გზის საადგილო ძლივს დარჩომილა მის და მტკვრის შუა. ფოჩტის გზაზედ მოჩანან თითქმის მუდამ ურმები, ადამიანები: მოჩანს აგრეთვე ის ადგილი, საცა „არაგვი ერევა შფოთიან მტკვარსა" და წმინდა, ორაგულებით სავსე არაგვი. ციხის ძირში (მცხეთის მხარეს) ვენახები, ბაღები და საყანე ადგილები.

კარგა ხანს რომ დავტკბი და კიდეც შევისვენე მე დავბრუნდი მცხეთაში და აქედამ გავწიე რკინის გზის სტანციისაკენ.

მოსე ჯანაშვილი.

(დასასრული შემდეგში).

მყოფობისა; ბასტურავი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაბაველი და დანილე-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცეი და მორამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; გელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტურავი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაბაველი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცეი—შინაგან ავათმყოფობისა; გელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტურავი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაბაველი—ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცეი, მორამანოვი და დანილე-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; გელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტურავი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაბაველი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცეი—შინაგან ავათმყოფობისა; გელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტურავი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაბაველი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


ინგლისის მაღაზიაში ახლად მივიღეთ დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პარ-ფისინს 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—75)

დასყიდვა ალდგომამდის
ინგლისურ მაღაზიაში.

ქუდები 1 მან., ფუფაიკები 2 მ. 50-დამ, შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდე; დრაპი, მაუდი, ტრიკო, ჩითები და ალბომები ნახევარ ფასად; სიზადალი 1 ხარისხისა — 70 კ. და ყიდვა—1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ჩითები 30 კაპ. კრეპლები—ტასტები 10, 14 და 18 მან.—კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლებიაშკები 2 კ., ფოთრებული გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი.

სურამის და ხაშურის სტანციებში იყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—3)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითად: თოფებისა, რევოლვერებისა, გლობუსებისა, ზურზულებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, სამზარსა, შიო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუკრისისა (გამოიღე კლიშეებიანი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასხურებელის გასასყიდლად კაპიუშენები და ბატკნის და გამზ. შერაბისა, სკრეპეფ ნელქნისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანის სიგარები. (100—89)

ამ დღეებში მივიღეთ ყველი—ჩესტრ 60 კ. გირვანქა. ახალ-ახალი—წინდა და ფერხული სინთლები—35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რვანის ტასტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, კ. ი. საზავერო 4 მან. და სადილო 14 მანეთიდამ. (15—8)

ბათუმიდამ

ამ დღეებში მიღებულია საუკეთესო ხარისხის თამბაქო და პაპიროზები ბათუმის აზნაუროვის ქარხნიდამ.

იყიდება მისაილოვის ხიდზე.

ვისაც პარტიებად უნდა უსურს, იქვე შეუძლიან შეუკვეთოს მაილ მებურნუთოვს. (3—1)

ალდგომისთვის დაწყობილი პირველ ენების თვალი, ორი სახის ნაშიადგილიდამ, გვირაბითი, ყველა პარაგმატერების მაღაზიაში დაკეტებიან, პარაგმატერებით ამერთი გარდაწყვეტილებით ამას ვაცნობებთ საზოგადოებას. (3—1)

დაიბეჭდა და იყიდება ბ-ნ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

საამო განცხადება.

ვისაც სურს ნამდვილი კახური ღვინოებითი, არომატიული ღვინოებით დატკბეს თვისი გემოვნება, ინებოს და მიირთვას ღვინოები „ალაზნის" სარდაფისა, სოლოლაკის ქუჩაზედ, დეკანოზის ორბელის სახლებში № 14, თავ. ირაკლი ბრუზინსკის სახლის პირ-და-პირ. (6—6)

# სალიანი

საკუთრად თევზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ახლად მივიღეთ სალიანიდამ ნამდვილი სალიანის შამაიები და იყიდება ნაკლებ ფასად, როგორც ხორციობით ისე წვრილმანად. (5—5)

# ისყიდება

15,000 თუფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.
12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.
10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.
10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.
10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.
10,000 შენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.
5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.
2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.
2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.
2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.
1,000 გირვ. თვალთ-მაქცი დეპიოშკა 50 კაპ. გირვ.
600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.
300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. ინგლისის მაღაზიაში. (40—38)

ნაფიცი ვექილი
ალექსანდრე მირიანის-ძე
# ჭყონია

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—5)

იურიდიული კაბინეტი
იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზეს არხიტექტორის ბილოვის სახლში ძელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—5)

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეაში
(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—92)

# ისყიდება

25% ნაკლებ ...
ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, ... რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქ... ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუ... ბი, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლ... ები, სამურკელი, ტანისამოსის სა... კოვზები, დანები, კალმები, ქაღალ... კანვერტები, რვეულები, კარანდაშ... თოფები, რევოლვერები, კრაგები, ... ჩები, ვაზები, ქამრები, საყელურები, ... ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთო... ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახო... ხულქები, ტუალეტის საპონი, დუხ... შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ... ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკ... ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მა... ლაზიაში. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნა... დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 5... მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 1... კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 6... კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხ... 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბო... (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრი... კიდამ—120 მან. რევოლვერები 4—3... მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალ... უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის ... ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-... დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფი... ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფე... ბისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—100)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (... ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნ... სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემო... იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებ... გამოცემა:
წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.


ტაქსა

აკვებაკ ხორაგეულებათა, რომელნ... იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუ... ნებში და დატარებით 1 მარტიდ... 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ ... |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ ... |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 ... |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 ... |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 ... |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 ... |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ ... |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 ... |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 ... |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 ... |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 ... |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — ... |
| მეორის „ | —1 გირ. | — ... |

*Дозволено цензурою. Тифлисъ*, 18 *Марта* 1882 *г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხ...